სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 11/2014 (10 თებერვალი, 2014) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე რომანული ფილოლოგიის (ფრანგული ენა) ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შექმნილი შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი # 3

21 თებერვალი, 2014 წლი

სხდომას ესწრებოდნენ: პროფესორი ქ. გაბუნია (კომისიის თავმჯდომარე), პროფესორი ლია ლორია (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებული პროფესორი მარინე კობეშავიძე (კომისიის მდივანი), პროფესორი ხათუნა წიკლაური, ასოცირებული პროფესორი ია ჩიქვინიძე.

დღის წესრიგი

1. საკონკურსო კომისიის მუშაობის ვადის გაგრძელებისა და შემაჯამებელი ოქმის წარდგენის ვადის გადაწევის თაობაზე თსუ-ს რექტორისათვის მიმართვის შესახებ.

პროფესორი ქ. გაბუნია

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით კენჭისყრის ჩატარებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ

პროფესორ ქ. გაბუნიას ინფორმაცია

მოისმინეს: 1. საკონკურსო კომისიის მუშაობის ვადის გაგრძელებისა და შემაჯამებელი ოქმის წარდგენის ვადის გადაწევის თაობაზე თსუ-ს რექტორისათვის მიმართვის შესახებ პროფესორ ქ. გაბუნიას ინფორმაცია.

პროფესორმა ქ. გაბუნიამ, აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების ერთიანი წესით (დამტკიცებული 2013 წლის 18

ნოემბრის, დადგენილება #126/2013) განსაზღვრული პროცედურების გამო ვერ ხერხდება აკადემიური საბჭოსთვის შემაჯამებელი ოქმის წარდგენა არა უგვიანეს 2014 წლის 24 თებერვლისა. მიზანშეწონილია თსუ-ს რექტორს მივმართოთ თხოვნით აღნიშნული ვადა გაგრძელდეს 2014 წლის 11 მარტამდე და კომისიას მიეცეს საშუალება გააგრძელოს მუშაობა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ქ. გაბუნიამ (კომისიის თავმჯდომარე), პროფესორმა ლია ლორიამ (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებულმა პროფესორმა მარინე კობეშავიძემ (კომისიის მდივანი), პროფესორმა ხათუნა წიკლაურმა, ასოცირებულმა პროფესორმა ია ჩიქვინიძემ.

დაადგინეს: მომზადდეს წერილი თსუ-ს რექტორის სახელზე, რომ შემაჯამებელი ოქმის აკადემიური საბჭოსთვის წარდგენის ვადად ნაცვლად 2014 წლის 24 თებერვლისა განისაზღვროს 2014 წლის 11 მარტით.

მოისმინეს: 2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით კენჭისყრის ჩატარებისა და კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ პროფესორ ქ. გაბუნიას ინფორმაცია.

პროფ. ქ. გაბუნიამ აღნიშნა, რომ პროცედურის შესაბამისად ჩატარდა პრეტენდენტების შეფასების ორივე ეტაპი. შედეგების გაანალიზებისა და კომისიის ყველა წევრის აზრთა გაზიარების საფუძველზე საჭიროა პრეტენდენტის საკითხი დადგეს ღია კენჭისყრაზე, რათა გამოვლინდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ, თსუ-ს რექტორის №172/01-01 **(2013-12-23)** საფუძველზე ბრძანებისა, გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული შემდეგი საკონკურსო აკადემიური თანამდებობის მიხედვით: რომანული ფილოლოგიის (ფრანგული ენა) მიმართულებით, ასოცირებული პროფესორი – 1 საშტატო ერთეული.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ქ. გაბუნიამ (კომისიის თავმჯდომარე), პროფესორმა ლია ლორიამ (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოცირებულმა პროფესორმა მარინე

კობეშავიძემ (კომისიის მდივანი), პროფესორმა ხათუნა წიკლაურმა, ასოცირებულმა პროფესორმა ია ჩიქვინიძემ.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: რომანული ფილოლოგიის (ფრანგული ენა) მიმართულებით, ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე.
სიბილა გელაძე – მომხრე – 1, წინააღმდეგი – 4.
მედეა კინწურაშვილი – მომხრე – 1, წინააღმდეგი – 4.

<u>დაადგინეს:</u> სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ თსუ–ს რექტორის ბრძანება N 172/01–01, 2013 წლის 10 დეკემბრის, სამართლიანი კონკურენციის პრინციპების და თანასწორობის დაცვით, გამარჯვებულად ვერ გამოცხადდება ვერცერთი კანდიდატი.
კომისიის გადაწყვეტილებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის (ფრანგული ენა) მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობა რჩება ვაკანტური.

2. შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს თსუს-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თამვჯდომარე	ქ. გაბუნია
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	ლ.ლორია
კომისიის წევრები:	ი. ჩიქვინიძე
	მ. კობეშავიძე
	ხ. წიკლაური

შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში კონკურსანტს უფლება ეძლევა გაასაჩივროს კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედეგები იმავე კომისიაში.

კანდიდატმა საჩივარი უნდა ჩააბაროს შესაბამისი ფაკულტეტის კანცელარიაში.

მისამართი: თბილისი, 0179, ჭავჭავაძის 1, ოთახი N 207